**ამორტიზაცია**. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ. როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

**აქტივების გაუფასურება.** ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება მარაგების გაუფასურება, რისთვისაც მარაგების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება

შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში-პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

**იჯარა.** იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

**მარაგები**. მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი.

ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.** სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯებში.

**პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები.** ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

**ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ.** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

## 3. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.** ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად

გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

**საეჭვო ვალების რეზერვი.** კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს, რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან.

**საწარმოს უწყვეტობის პრინციპი.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

## 4. ძირითადი საშუალებები

| | მიწის ნაკვეთები | 1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები | ნაგებობები | კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები | სპეციალური ინსტრუმენ-ტები | სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **01.01.2020** | **-** | **6** | **21** | **9** | **30** | **300** | **366** |
| შესყიდვები/ კაპიტალიზაცია | - | 1 | 15 | 7 | - | - | 23 |
| დაგროვილი ცვეთა გასვლის მომენტში | - | - | - | - | - | (7) | (7) |
| გაყიდვები/ ჩამოწერა | - | (1) | - | (2) | - | (34) | (37) |
| **31.12.2020** | **-** | **6** | **36** | **14** | **30** | **259** | **345** |
| შესყიდვები /კაპიტალიზაცია | - | 9 | 3 | 4 | - | 217 | 233 |
| დაგროვილი ცვეთა გასვლის მომენტში | - | - | - | - | - | - | - |
| გაყიდვები/ ჩამოწერა | - | (2) | - | (3) | (9) | (17) | (31) |
| **31.12.2021** | **-** | **13** | **39** | **15** | **21** | **459** | **547** |
| **ცვეთა და გაუფასურება** | | | | | | | |
| **01.01.2020** | - | **(1)** | **(5)** | **(3)** | **(5)** | **(80)** | **(94)** |
| მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი | - | (1) | (3) | (2) | (6) | (44) | (56) |
| დაგროვილი ცვეთა გასვლის მომენტში | - | - | - | - | - | 7 | 7 |
| **31.12.2020** | **-** | **(2)** | **(8)** | **(5)** | **(11)** | **(117)** | **(143)** |
| მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი | - | (2) | (5) | (3) | (5) | (77) | (92) |
| დაგროვილი ცვეთა გასვლის მომენტში | - | - | - | 1 | 2 | 2 | 5 |
| **31.12.2021** | **-** | **(4)** | **(13)** | **(7)** | **(14)** | **(192)** | **(230)** |
| **საბალანსო ღირებულება** | | | | | | | |
| **31.12.2020** | **-** | **4** | **28** | **9** | **19** | **142** | **203** |
| **31.12.2021** | **-** | **9** | **26** | **8** | **7** | **267** | **317** |

## 5. მარაგები

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| დაუმთავრებელი წარმოება | 22,392 | 18,193 |
| ნედლეული და მასალები | 497 | 249 |
| ბინების თვითღირებულება | 281 | 104 |
| საქონელი | 36 | 41 |
| ხელსაწყოები და ინვენტარი | 4 | 17 |
| სათადარიგო და სხვა მასალა | - | 2 |
| **სულ მარაგები:** | **23,210** | **18,606** |

2020 წელს კომპანიამ შეიძინა მიწა შემდომი მშენებლობის პირობით, რომლის ღირებულებამ შეადგინა 14,315 ათასი ლარი და ასახულია დაუმთავრებელ წარმოებაში.

## 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 233 | 255 |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ | 141 | 141 |
| საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი | (180) | (68) |
| **სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:** | **194** | **328** |

## 7. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

## 8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 528 | 1,837 |
| ფულადი სახსრები ბანკში დოლარში | 339 | 91 |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | - | 669 |
| **საერთო ჯამში:** | **867** | **2,597** |

## 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 3,180 | 3,661 |
| **სულ ვალდებულებები:** | **3,180** | **3,661** |

ზემოღნიშნული თანხა მოიცავს ერთ სასამართლო დავასთან დაკავშირებით 15 000 ლარის ოდენობით ანარიცხს.

## 10. საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის განულებულია, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა- 85 ათას ლარს, რომელიც აღიარებულია დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით შეტანის მომენტისთვის. 2021 წლის 14 დეკემბერს პარტნიორთა გადაწყვეტილებით 50 %-იანი წილის გასხვისება მოხდა შპს „კალასი“-ზე.

## 11. ამონაგები

| | 2021 წლისათვის | 2020 წლისათვის |
|---|---|---|
| ბინების, ავტოსადგომების და კომერციული ფართის რეალიზაცია | 7,350 | 34,299 |
| სხვა შემოსავალი | 8 | 13 |
| **სულ** | **7,358** | **34,312** |

## 12. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

| | 2021 წლისათვის | 2020 წლისათვის |
|---|---|---|
| ბინების, ავტოსადგომების და კომერციული ფართის თვითღირებულება | (2, 722) | (14,011) |
| **სულ** | **(2, 722)** | **(14,011)** |

## 13. ადმინისტრაციული და სხვა  საერთო ხარჯი

| | 2021 წლისათვის | 2020 წლისათვის |
|---|---|---|
| სახელფასო ხარჯი | (188) | (165) |
| საეჭვო ვალების რეზერვი | (112) | (25) |
| საკონსულტაციო და სანოტარო ხარჯები | (87) | - |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი | (29) | (18) |
| საიჯარო ქირის ხარჯი | (1) | (6) |
| საბანკო საკომისიო ხარჯი | (2) | (5) |
| ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი | - | (2) |
| ტრანსპორტირებისა და საწვავის ხარჯი | (3) | - |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი | (4) | (11) |
| **სულ ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი:** | **(426)** | **(232)** |

## 14. გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი

| | 2021 წლისათვის | 2020 წლისათვის |
|---|---|---|
| საშუამავლო ხარჯი | (381) | (632) |
| **სულ გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი** | **(381)** | **(632)** |

## 15. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

| | 2021 წლისათვის | 2020 წლისათვის |
|---|---|---|
| ფინანსური შემოსავალი | | |
| გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავალი | 260 | 338 |
| **სულ ფინანსური შემოსავალი:** | **260** | **338** |

| ფინანსური ხარჯი | 2021 წლისათვის | 2020 წლისათვის |
|---|---|---|
| გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ხარჯი | (17) | (21) |
| **სულ ფინანსური ხარჯი:** | **(17)** | **(21)** |

## 16. მიმდინარე სასეხო ვალდებულება

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| გადასახდელი ძირი თანხა | 218 | - |
| გადასახდელი პროცენტი | 6 | - |
| **სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულება:** | **224** | **3,661** |

კომპანიას ფიზიკური პირისგან ჰქონდა სესხი აღებული ლარში, რომელიც 2022 წლის თებერვალში დაიფარა. გრძელვადიანი სასეხო ვალდებულება არ გააჩნია.

## 17. დივიდენდი

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება მფლობელთა კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

## 18. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად

ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით

## 19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე, ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულმა მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| დაკავშირებული მხარეები | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| დებიტორული დავალიანება | 7 | 5 |
| სავაჭრო ვალდებულება | (11) | (8) |
| **სულ:** | **(4)** | **(3)** |

| დაკავშირებული მხარეები | 2021 წლის განმავლობაში | 2020 განმავლობაში |
|---|---|---|
| საქონლისა და ძირითადი საშუალების რეალიზაცია | 28 | - |
| შესყიდვები | 79 | 50 |
| **სულ:** | **107** | **50** |

**უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოპერაციები:**

| უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირებისკომპენსაცია ხარჯად აღიარებული | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 141 | 96 |
| იჯარის ხარჯი | 1 | - |
| **სულ:** | **142** | **96** |

## 20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში გაუნაწილებელი მოგებიდან განაწილდა დივიდენდი 8 967 045 ლარის ოდენობით.

## 21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2022 წლის 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

## *მმართველობითი ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

## *საქმიანობის შედეგების მიმოხილვა*

**შპს „ალფა რეზიდენსის“** (ს/კ 405 195 854) (შემდგომში “კომპანია”) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, შალვა ნუცუბიძის ქ., N77 კ, ბ. N1, ბლოკი „ა“ .

### *1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:*

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს ერთ ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2021 წლის 14 დეკემბერს კომპანიის 50% წილი გასხვისდა შპს „კალასი“-ზე (ს/კ 205011217), ხოლო დანარჩენი 50% წილის მფლობელია შპს მირა (ს/ნ 202 218 698). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორები არიან: გიორგი ხუციშვილი და გია დავითაძე.

### *2. კომპანიის განვითარების გეგმები:*

კომპანია გეგმავს მიმდინარე პროექტების პარალელურად, მოიძიოს და განახორციელოს ახალი, რენტაბელური პროექტები, თბილისსა და მის გარეთ.

### *3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:*

კომპანიას არ გააჩნია არანაირი კვლევები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### *4. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:*

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის

გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

**რისკების მართვის სტრუქტურა**

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვლისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან .

**საკრედიტო რისკის გავლენა**

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

**ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობდა 867 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები

პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

**სავალუტო რისკი**

„კომპანია“ დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც „კომპანიის“ განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები შეიძლება შეფასდეს, არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკის სამართავად „კომპანიას“ არ გააჩნია რაიმე ფორმალური პოლიტიკა.

**მგრძნობელობის ანალიზი**

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

*5.კომპანიის სესხები:*

კომპანიას 2021 წელს ფიზიკური პირისგან აღებული აქვს სესხი, რომელიც 2022 წლის დასაწყისში დაიფარა.

6.ინფორმაცია ***ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა*** და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „ალფა რეზიდენსის“ დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებული ფინანსურ ანგარიშგება.

თარიღი: 29/09/2021 წ.

დირექტორი:

გია დავითაძე

*მმართველობითი ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

*საქმიანობის შედეგების მიმოხილვა*

შპს „ალფა რეზიდენსის" (ს/კ 405 195 854) (შემდგომში "კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, შალვა ნუცუბიძის ქ., N77 კ. ბ. N1, ბლოკი „ა" .

1. *კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:*

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. საქართველოს მასშტაბით „კომპანია" ფლობს ერთ ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2021 წლის 14 დეკემბერს კომპანიის 50% წილი გასხვისდა შპს „კალასი"-ზე (ს/კ 205011217), ხოლო დანარჩენი 50% წილის მფლობელია შპს მირა (ს/ნ 202 218 698). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორები არიან: გიორგი ხუციშვილი და გია დავითაძე.

2. *კომპანიის განვითარების გეგმები:*

კომპანია გეგმავს მიმდინარე პროექტების პარალელურად, მოიძიოს და განახორციელოს ახალი, რენტაბელური პროექტები, თბილისსა და მის გარეთ.

3. *კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:*

კომპანიას არ გააჩნია არანაირი კვლევები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. *ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:*

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია" დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

**რისკების მართვის სტრუქტურა**

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ესმის თავისი როლი და ვალდებულება.

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან .

**საკრედიტო რისკის გავლენა**

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

**ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობდა 867 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებსა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის" მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

**სავალუტო რისკი**

„კომპანია" დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც „კომპანიის" განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები შეიძლება შესრულდეს, არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკის სამართავად „კომპანიას" არ გააჩნია რაიმე ფორმალური პოლიტიკა.

**მგრძნობელობის ანალიზი**

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შემდეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას" ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

5. *კომპანიის სესხები*

კომპანიას 2021 წელს ფიზიკური პირისგან აღებული აქვს სესხი, რომელიც 2022 წლის დასაწყისში დაიფარა.

6. ინფორმაცია ***ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით ბუღალტრის მიზნებისა*** და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „ალფა რეზიდენსის" დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებული ფინანსურ ანგარიშგება.

თარიღი: 29/09/2021 წ.

დირექტორი:
გია დავითაძე